MES 5 21 0001205243

09/11/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 26.10.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:06 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.
17. **თამარ ჩხეიძე** - სიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი

1	ვლადიმერ ღლონტი	**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I
3	ნანი მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	პაატა კერვალიშვილი		პროფესორი, ბსუ-ს საპატიო დოქტორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ნუგზარ ღომიძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ლალი კალანდაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	
		სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
7	თამარ გაგოშიძე		პროფესორი, განათლების მეცნიერებტა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	მანანა მელიქიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	ხათუნა მარწყვიშვილი		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	მარინა ჩიტაშვილი		აკადემიური საბჭოს წევრი	II
11	თამარ მანაგაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	II
12	ირმა გრძელიძე		ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II

		შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი		
13	დავით ჩერქეზიშვილი		რექტორი	**III**
14	პოლ გიბსი		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
15	შალვა ტაბატაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
16	ზვიად როგავა		ვიცე-რექტორი	**III**
12	დავით ბოსტოღანაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
13	ეკა ლუაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	**III**
14	რუსუდან ჩიქოვანი		ვიცე რექტორი სასწავლოს მიმართულებით	**III**
15	თეა იმედაძე		ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით	**III**
16	კახა ლაზარაშვილი		ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე	**III**
17	დავით სიხარულიძე		ასოცირებული პროფესორი	**III**
18	ქეთევან აფთარაშვილი		განათლების დეპარტამენტის უფროსი	**III**
19	ვასილ კიკუტაძე		ფაკულტეტის დეკანი	**III**
		შპს - საქართველოს დავითაღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი		
20	თეიმურაზ ქორიძე		რექტორი	**IV**
21	თამარ ტუფინაშილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
22	ქეთევან ფრანჩუკი		სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნათია ბადრიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მზია თედიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	სალომე საბიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

10	ნიკოლოზ ფარჯანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო “ზუმით)	III
13	ანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ურაბ ალხანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	იზიკა Physics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გაადწყვეტილება N162, 03.07.2012,
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი Doctor of Physics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	იზიკა 0533
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, II სართული
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ანზორ ბერიძემ და გაიოზ ფარცხალაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 21 სექტემბერს. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად უნივერსიტეტში. თუმცა, პანდემიის (COVID 19) პირობებში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეხვედრები შედგა ონლაინ პლათფორმა „Zoom"-ის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ასევე, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული რეალური ვითარების ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიურ ვითარებაში.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, რიგი კურსებისთვის დამუშავდეს რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები, ასევე უნდა გაიწეროს სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
2. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით განხორციელებული კვლევებისა და აქტივობების, ასევე, მიღებული შედეგების ანალიზის ფორმალიზება (დოკუმენტურადაც იყოს დადასტურებული);
3. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ეფექტურად განხორციელებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოიყენების მიზნით, უნდა მოხდეს გამოკვლეული ინფორმაციის ფორმალიზება/დოკუმენტირება და მიღებული შედეგების დამუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მისაღებია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ცალკეული სასწავლო კურსებისა და სადოქტორო ნაშრომისთვის, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, დააზუსტებს შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რაც უნივერსიტეტში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში.

რაც შეეხება მე-2 და მე-3 რეკომენდაციას, რეკომენდაციები მისაღებია. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალთან ერთად კიდევ ერთხელ დააზუსტებს პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სამეცნიერო კვლევების დამკვეთები) და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, გამოიკვლევს მათ ინტერესებს, შეიმუშავებს პროგრამის შემდგომი განვითარების გეგმას, განხორციელდება შემუშავებული გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგი, რაც აისახება სათანადო დოკუმენტებში.

აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულებამ დაიწყო მეთოდოლოგიის ფორმირება, რომელიც დაკავშირებულია შრომის ბაზრის კვლევასთან, შესაბამისად კვლევა წარიმართება არა მხოლოდ ზოგადი კომპეტენციების შესწავლის მიზნით, არამედ ერთ-ერთი მიზანი იქნება დარგობრივი კომპეტენციების შესწავლა. აქედან გამომდინარე, ჩართული იქნება თვისობრივი კვლევის მეთოდები.

რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულების განზრახვაა, რომ 2022 წლიდან უნივერსიტეტის ბიუჯეტი დაიგეგმოს, როგორც პროგრამული ბიუჯეტი. უნივერსიტეტის მასშტაბიდან გამომდინარე, საბიუჯეტო პროცესი არის ცენტრალიზებული, თუმცა მოხდება დაცული მუხლების მეტი ჩაშლა, სადაც გამოკვეთილი იქნება პროგრამების საჭიროებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტიდან რთულია დასკვნის გამოტანა იმასთან დაკავშირებით თუ საიდან ფინანსდება სადოქტორო კვლევა. შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა შრომის ბაზრის კვლევის მნიშვნელობა და ასევე მოუწოდა საკითხის განმარტებისკენ დაწესებულების წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანმა აღნიშნა ,,აკადემიური წერისა“ და ,,სიგნალები დისპერსიულ არაერთგვაროვან გარემოში“ სასწავლო კურსები და განმარტა, რომ ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში ორივე სილაბუსში მოცემულია შემდეგი ფორმულირება - ,,აკადემიური წერის ნაწილში სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის დამუშავების ძირითადი პრინციპების ცოდნა; საჯარო გამოსვლების ტექსტის მომზადების ტექნიკისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა . ასევე მეთოდების ცოდნა არის განსაზღვრული ,,სიგნალები დისპერსიულ არაერთგვაროვან გარემოში“ სასწავლო კურსში. შესაბამისად ფორმულირებები ცოდნა გაცნობიერების ნაწილში არის მოცემული იმგვარად, რომ სტუდენტი ფლობს ცოდნას, მაგრამ რაში ან როგორ ვლინდება ეს ცოდნა, მსგავსი ფორმულირება რამდენიმე სილაბუსში არ იყო მოცემული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებისკენ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა მიღების წინაპირობის საკითხი, კერძოდ არაქართველი სტუდენტებისთვის ქართული ენის A2 დონე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პროგრამა ქართულ ენაზე იყოს დაძლეული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად ფიქრობენ ექსპერტები და დაწესებულება, რომ A2 დონით მოსული სტუდენტისთვის ქართულ ენაზე სწავლება დაძლევადი იქნება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევები ძირითადად თეორიული ფიზიკის კუთხით ხორციელდება, შესაბამისად, დაინტერესდა ხორციელდება თუ არა კვლევები ექსპერიმენტული ფიზიკის მიმართულებით, რაც მოითხოვს ასევე განსაკუთრებულ ხარჯებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გარკვეული ტიპის სადისერტაციო ნაშრომებში გამოყენებულია ძველი ლიტერატურა. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად არის ფორმალიზებული ერთი ინსტიტუციის ფარგლებში გარკვეული სტანდარტი, თუ რის მიხედვით უნდა გაფორმდეს ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ A2 დონესთან დაკავშრებით მიღების წინაპირობებში არის ტექნიკური შეცდომა და მოცემული უნდა იყოს უფრო მაღალი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა სილაბუსებში ცოდნა გაცნობიერების საკითხთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ სილაბუსებში არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. რაც შეეხება ბიუჯეტს, დადებით მხარედ უნდა ითქვას, რომ ჯგუფი ჩართულია საგრანტო პროექტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულება ახლა აყალიბებს ახალ მეთოდოლოგიას, რომლის შესაბამისადაც შრომის ბაზრის კვლევის შედეგად სიღრმისეული ინტერვიუებით და სხვა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით მოხდება ყველა ჩართული მხარის საჭიროებების შესწავლა. დაწესებულებას ორიენტირი ჰქონდა ზოგადი კომპეტენციების გამოვლინებაზე და მათ შესწავლაზე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით.
რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულება მომავალი წლიდან გადადის პროგრამულ ბიუჯეტირებაზე. დაწესებულება იზიარებს იმას, რომ დარგების მიხედვით აუცილებელია ხარჯების განაწილება, თუმცა რესურსები არის ყოველთვის შეზღუდული. მიუხედავად ამისა, პროგრამულ დაფინანსებაში მიდგომა აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, რომ არსებობდეს ფაკულტეტებზე მიბმული პროგრამული დაფინანსებები.
აღსანიშნავია ასევე მიღების წინაპირობის საკითხი, კერძოდ დაწესებულებას ცვლილება 2018 წელს აქვს განხორციელებული დოქტორანტურის წესში, სადაც უცხოენოვანი სტუდენტისათვის ქართულ ენაში ინსტიტუცია ითხოვს კომპეტენციის დადასტურებას მინიმუმ B1 დონეზე. შესაბამისად, ჩანაწერი არის ძველი და წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რაც უკვე გამოსწორებულია.

პროგრამის ხელმძღვანელმა სილაბუსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში იყო ხარვეზი, კერძოდ პროგრამით აკადემიური წერა არ არის გათვალისწინებული, მოცემული სილაბუსი წარმოდგენილი იყო ძველ პროგრამაში. რაც შეეხება ,,სიგნალებს დისპერსიულ არაერთგვაროვან გარემოში", მოცემულ სილაბუსში ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში წარმოდგენილი სწავლის შედეგი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში კვლევები უმთავრესად თეორიული მიმართულებით მიმდინარეობს, რაც ამავე დროს მოიცავს ნატურალურ ექსპერიმენტსაც, რომელიც უპირველეს ყოვლისა არის გაჯერებული რიცხვითი ექსპერიმენტებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტული კვლევა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, აქედან გამომდინარე დაწესებულება ეყრდნობა საერთაშორისო კვლევების შედეგებს და აქვს შესაძლობლობა მოახდინოს მისი თეორიული დამუშავება რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე. ინსტიტუციას ასევე აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს ინდივიდუალურად კვლევებში, რაც გულისხმობს დოქტორანტის მონაწილეობას კონკრეტულ პროექტებში ან მივლინებას, თუმცა ის ფაქტორი, რომ დაწესებულებამ დამოუკიდებლად აწარმოოს ექპერიმენტული კვლევები, არ იქნებოდა სათანადო დონის, რადგან უნივერსიტეტის

ძლიერი მხარე არის მათემატიკური და რიცხვითი-ექპერიმენტული ნაწილი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია უცხოელ კოლეგებთან კოლაბორაცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ ბსუ-ში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. ფაკულტეტზე მოქმედი საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობით მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივ შევსება. „ფიზიკის“ სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ბსუ-ს ბიუჯეტით.
რაც შეეხება სადოქტორო ნაშრომების ლიტერატურის საკითხს, მოცემული ნაშრომები სხვადასხვა პერიოდში იქნა დაცული, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ერთი დაცული იქნა 2015 წელს, ხოლო მეორე - 2018 წელს, თუმცა არის ასევე გაცილებით ადრე 2008-2009 წლებში დაცული დისერტაციებიც. იმ პერიოდისათვის დისერტაციაში მითითებული ლიტერატურა უნდა ჩაითვალოს თანამედროვედ. ზოგადად ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემა დღესაც გადაუჭრელია, მოცემული მეთოდები და ლიტერატურა კი ზოგადი სახისაა და ამავდროულად არის უახლესი, ასევე წარმოადგენს განხილული თემატიკის განუყოფელ ნაწილს. რაც შეეხება გაფორმების წესს, აღნიშნული პრაქტიკულად ერთნაირია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში შესაძლოა ვერ გაკეთდეს ექპერიმენტული კვლევები, თუმცა სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ცოდნა ექსპერიმენტული კვლევების შესახებ და შეძლებისდაგვარად განივითარონ უნარები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ექსპერიმენტული კვლევების განვითარებაში ეხმარება ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში არის დასავლეთ საქართველოს რეგიონული ცენტრის ლაბორატორია, 450 000 ლარის ღირებულების აპარატურით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:54
დასრულების დრო: 16:20

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომედაციები და რჩევები და შემდეგი ფორმულირებით ჩამოაყალიბა:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდებულია პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვების ნაწილში წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენა B2 დონე.
3. რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
4. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
5. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები.

6. რეკომენდირებულია, რიგი კურსებისთვის დამუშავდეს რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები, ასევე უნდა გაიწეროს სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
7. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით განხორციელებული კვლევებისა და აქტივობების, ასევე, მიღებული შედეგების ანალიზის ფორმალიზება (დოკუმენტურადაც იყოს დადასტურებული);
8. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ეფექტურად განხორციელებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოიყენების მიზნით, უნდა მოხდეს გამოკვლეული ინფორმაციის ფორმალიზება/დოკუმენტირება და მიღებული შედეგების დამუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს სადოქტორო ნაშრომების გაფორემების წესების სრულყოფილად დაცვა.
2. სასურველია გამოიკვეთოს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორესაკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიქოლოგია Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N280, 11.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში BSc inPsychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სიქოლოგია 0313
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძისგამზ. 11ა, მე-3კორპუსი, 0179 თბილისი,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- გიორგი ღაღანიძემ, მარიამ შენგელიამ, ნინო ინასარიძემ, ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქ ტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2011 წელს აკრედიტებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 17-18 აგვისტოს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლათფორმის მეშვეობით. წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა ბიბლიოთეკარის დახმარებით. ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გაიზარდოს შრომის ბაზრის გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა
2. გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან;
3. სასწავლო პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის კურსის დამატება;
4. გადაიხედოს სილაბუსებში „დასწრება/აქტივობის“ შეფასება და ქულები გადანაწილდეს აქტივობაზე (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რომელიც მომზადებულია თსუ-ს ცენტრალური ხარისხის სამსახურის ინიციატივით, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალი. დამსაქმებლებს ელ-ფოსტით დაეგზავნათ კითხვარი. აღნიშნული კითხვარი გაეგზავნა 25 ორგანიზაციას, რომლებსაც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ ან ჰქონიათ. კურსდამთავრებულთა მონაცემების ანალიზის მიხედვით, კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობაში შეინიშნება შემცირების ტენდენცია. მისი თქმით, კვლევა ჩატარდა შემდეგ ორგანიზაციებში: საქართველოს ბავშვები, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი, კომუნიკაციების კომისია, თავდაცვის სამინისტრო, შპს "ნიკორა ტრეიდი", ბილაინი, თეგეტა მოტორსი და სხვა. ჩამოთვლილ ორგანიზაციებში დაწესებულების კურსდამთავრებულიები მუშაობენ, როგორც ფსიქოლოგები, კონსულტანტები, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები. ასევე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დამსაქმებელთა 70%-მა მიუთითა, რომ კურსდამთავრებულთა სუსტ მხარეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაკლებობა წარმოადგენს, ამიტომ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში გაზრდილია პრაქტიკული კურსების და პრაქტიკულ-კომპონტენტებიანი საგნების რაოდენობა და შეადგენს 41%-ს.

რაც შეეხება ინგლისური ენის დამატების საკითხს, ფსიქოლოგიის სავალდებულო პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტის გავლას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით არჩევითი საგნების 10%-ში კურსის ფარგლებში მიწოდებული ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, ამ საგნების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენა. ეს კი ხელს უწყობს სტუდენტებს პროფესიული ინგლისური ენის დაუფლებაში. გარდა ამისა, სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა დამატებით მასალად, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევთ სურვილის შემთხვევაში გაეცნონ ლიტერატურას ინგლისურ ენაზეც. ასევე შეთავაზებულია სტუდენტებისთვის 6 ინგლისურენოვანი კურსი, რომელიც შეიძლება აირჩიონ როგორც გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებმა, ასევე საბაკალვრო პროგრამის სტუდენტებმაც. უნდა აღინიშნის ისიც, რომ ფსიქოლოგიაში გამოყენებულ ტერმინთა უმრავლესობა საერთაშორისო ინგლისური ტერმინოლოგიაა და გამოწვევა, რომელიც დღესდღეობით ქართულ ფსიქოლოგიაში არსებობს, არის ქართული ექვივალანტების დამკვიდრების პრობლემა. საერთაშორისო გამოცდილებაშიც ნაკლებად მოიძებნება კურიკულუმი, სადაც პროფესიული ფსიქოლოგიური ინგლისური ისწავლება. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ 2020 წლის დეკემბერში გაიარა გარე შეფასება. პროფესორმა ლაურენტ ბეგიუმ სასწავლო პროგრამა და კურიკულუმი დადებითად შეაფასა და წარმოადგინა რამდენიმე რეკომენდაცია. ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული, გარდა ერთი რეკომენდაციისა. კერძოდ, პროფესორმა ლაურენტ ბეგიუმ დაწესებულებას შესთავაზა სასწავლო კურსის დამატება, სადაც განხილული იქნებოდა ფსიქოლოგიის დარგში არსებული თანამედროვე კვლევები. ამ კურსის დამატება ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, რადგან კურსის მომზადებას გარკვეული დრო ჭირდება, თუმცა დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ამ კურსის დამატება ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში. არსებულ კურსში სტუდენტებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ უცხოეთში გამოქვეყნებულ თანამედროვე კვლევებს.

რაც შეეხება დასწრება-აქტივობის ქულას, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სთავაზობს სტუდენტებს 104 სასწავლო საგანს. დასწრება/აქტივობის

კომპონენტი, რომელსაც ძალიან მცირე პროცენტი ეთმობა, ძირითადად, პრაქტიკული ან პრაქტიკულ-კომპონენტიანი საგნების სილაბუსებშია მოცემული. დასწრება/აქტივობა პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებასა და ჯგუფში მუშაობას მოიზრებს, ამრიგად, აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ დასწრება/აქტივობის ქულა მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსების გაცნობის საფუძველზე იკვეთება, რომ რიგ სილაბუსებში დასწრების ქულა საკმაოდ აქტიურად გამოიყენება. მათ შორის არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტუდენტი ათჯერ ფასდება გამოკითხვით, ამავე დროს ფასდება დისკუსიაში მონაწილეობით, ასევე გამოყენებულია ჯგუფური შეფასება, თუმცა არ არის ჩაშლილი თუ როგორ ფასდება კონკრეტული სტუდენტის წვლილი. იმ შემთხვევაში, როცა სტუდენტი დასწრებაში, გამოკითხვასა და დისკუსიაში მონაწილეობისთვის იღებს ქულას, უმჯობესი ხომ არ იქნება არსებობდეს ერთი შეფასების კრიტერიუმი?
გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ყველა სილაბუსში გამოყენებულია პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე გამსვლელი სწავლის შედეგი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად რელევანტურია საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი გადიოდეს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგზე? ამასთან, კავშირი შედეგსა და ამ შედეგზე გავსლის შეფასებებს შორის არ იკვეთება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში ცოდნა-გაცნობიერება და პასუხისმგებლობა -ავტონომიურობა, გამოკვეთილად არის ჩაშლილი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში სწავლის შედეგები არ არის გაზომვადი.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ,,ორგანიზაციული ქცევის“ სასწავლო კურსის სილაბუსი და განმარტა, რომ სილაბუსში ძირითად წყაროდ მითითებულია შრომის კოდექსი და პროფკავშირების შესახებ საქართველოს კანონი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად მიზანშეწონილია კანონის მითითება ძირითად ლიტერატურაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ორგანიზაციული ქცევა არ არის სამართლის სასწავლო კურსი და კანონების გამოყენების საჭიროება მხოლოდ მე-15 სალექციო თემის ფარგლებში დგას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში, 2.3 კომპონენტში მოცემულია რჩევა, რომ სასურველია შეძლებისდაგვარად განახლდეს ლიტერატურა. შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია.
აღსანიშნავია ასევე, რომ 2.2 კომპონენტში წარმოდგენილია რჩევა, სადაც საუბარია, რომ კურიკულუმის რუკაში სავალდებულო სასწავლო კურსებში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაკონკრეტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგ შემთხვევაში, ლიტერატურა არის შედარებით ძველი და სადაც შესაძლებელია, მნიშვნელოვანია მისი განახლება, რა თქმა უნდა, საკითხი არ ეხება კლასიკურ ლიტერატურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთ არი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა დასწრება-აქტივობასთან დაკავშრებით განმარტა, რომ აღნიშნული ბევრ სილაბუსში არის მოცემული, თუმცა ძირითადად იგულისხმება პრაქტიკული და პრაქტიკულკომპონენტიანი სილაბუსები. თეორიულ კურსებზე ძირითადად ხდება სასემინარო ლექტორების დასწრება, რომლებიც აღრიცხავენ სტუდენტთა აქტივობას. ლექციაზე დასწრებისთვის ქულის განსაზღვრა ზრდის სტუდენტთა მოტივაციას.

რაც შეეხება ლიტერატურის განახლებას, დაწესებულება მაქსიმალურად შეეცადა ლიტერატურის განახლებას, რაც განხორციელდა თითქმის ყველა სილაბუსის ფარგლებში.
მნიშვნელოვანია ასევე კრედიტების საკითხი, კერძოდ პროგრამაში მოცემულია მთლიანად სავალდებულო კურსების რაოდენობა (145 კრედიტი), რომელიც გულისხმობს, როგორც ფსიქოლოგის დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსებს (110 კრედიტი), ასევე, არაფსიქოლოგიური დარგების სავალდებულო კურსებს (35 კრედიტი), რომლის ჯამური რაოდენობაც შეადგენს 145 კრედიტს. ხოლო სასწავლო გეგმაში დონეებისა და სასწავლო წლების მიხედვით, ჩაშლილია და დეტალურად გაწერილია შესასრულებელი კრედიტების რაოდენობა. მხოლოდ ფსიქოლოგიის სპეციალობის/დარგის კრედიტების რაოდენობაა 135 (საიდანაც 110 სავალდებულო და 25 არჩევითი კრედიტია). აღნიშნული კრედიტები ჩაშლილია პროგრამაში. ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტს აუცილებლად შესრულებული უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის დარგის/სპეციალობის აღნიშნული 135 კრედიტი.
რაც შეეხება სილაბუსში შედეგების ფორმულირებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსების შემუშავებაზე საკმაოდ დიდი შრომა არის გაწეული, შესაბამისად გასაკვირია ხარვეზის არსებობა.
პასუხისმგებლობა-ავტონომიურობასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტები დამოუკიდებლად სწავლობენ სწავლას, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას და შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სხვადასხვა კურსი სხვადასხვა დონით გადის მოცემულ შედეგზე. თუ კურსი ავითარებს ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, აღნიშნული უნდა იყოს აღწერილი კონკრეტულ კურსში.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სილაბუსის ფორმა დამტკიცებულია უნივერსიტეტის მიერ, რომელშიც ცალ-ცალკე არის ჩაშლილი სწავლის შედეგების ნაწილი, თუმცა რა თქმა უნდა პროგრამის ხელმძღვანელს ან კურსის განმახორციელებელს შეუძლია აღნიშნულის გაერთიანებული სახით წარმოდგენა.
გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კანონის ძირითად ლიტერატურაში მითითების დაუშვებლად ცნობა ერთგვარ შეზღუდვას წარმოადგენს, ვინაიდან მთელი ლექცია შესაძლოა კანონზე ან კანონქვემდებარე აქტზე იყოს აწყობილი.
აღსანიშნავია ასევე, რომ მოცემული პროგრამა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მტკიცდება, რომ სტუდენტები გადიან სწავლის შედეგებზე, შესაბამისად ფორმულირების დროს დეტალურად ხდება იმის განსაზღვრა თუ რა გზით და როგორ მიიღწევა ესა თუ ის სწავლის შედეგი და რამდენად კავშირშია პროგრამის მიზანთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევ განმარტა, რომ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში არსებობს ორი ამხსნელი თეორია, ერთი კოგნიტური მიდგომა, რომელიც გულისხმობს სამართლიანობის თეორიას, ხოლო მეორე მოლოდინის თეორია. სამართლიანობის თეორია აქცენტს აკეთებს კოგნიტურ მოდელზე, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული შრომითი საქმიანობა და მიღწეული შედეგის უკუკავშირი სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით და ორგანიზაციაში რამდენად არის აღნიშნული დაცული. შესაბამისად, კანონის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია.
რაც შეეხება ჯგუფურ შეფასებას, ერთ-ერთ საგანში არის მაგალითად დასწრების ქულა, არის ასევე აქტივობის ქულა, სავარჯიშოში მონაწილეობა, დავალება და სემინარი. თუკი სტუდენტი არ ესწრება ლექციას, ის ვერ მიიღებს ქულას ვერც სხვა აქტივობაში. ამის შესახებ სტუდენტები, რა თქმა უნდა, არიან ინფორმირებულნი. გუნდური მუშაობის დროს კი მთავარია თანამშრომლობის განვითარება, ის რომ გუნდის წევრები ერთმანეთს დაუდგნენ მხარში და მაქსიმალურად მიიღონ მონაწილეობა.

2.2 კომპონენტთან არსებულ რჩევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსებში განსაზღვრული იყო 2 ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც გაზიარებული იქნა დაწესებულების მიერ და მოხდა მისი გამოსწორება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

17:13- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ჩხეიძე

დაწყების დრო: 17:06
დასრულების დრო: 17:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები და რჩევები და შემდეგი ფორმულირებით ჩამოაყალიბა:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამაში გაძლიერდეს პროფესიული ინგლისური ენის საკითხების სწავლება ინგლისურენოვანი დარგობრივი კურსების დაძლევის მიზნით.
2. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სპეციფიკასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტის მიღწევების ობიექტური შეფასება.
3. გაიზარდოს შრომის ბაზრის გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა.

რჩევები:

1. გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან.
2. სასურველია გაანალიზდეს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღების და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების კლების ტენდენცია
3. სასურველია კურიკულუმის რუკაში, პირველ სასწავლო წელს სავალდებულო სპეციალობის კურსებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.
4. სასურველია, შეძლებისდაგვარად განახლდეს ლიტერატურა
5. სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.
6. ასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევით საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში
7. სასურველია გადაიხედოს არსებული მექანიზმები გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქ ტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი : შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები Education Sciences
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებები დოქტორი Doctor of Education Sciences
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	შატილისქ. No4; ქ.თბილისი, 0178, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა და გიორგი ღაღანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 27 აგვისტოს. COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო შეხვედრები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში ZOOM-პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტი წარიმართა უსდ-სთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით მშვიდ აკადემიურ გარემოში; გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და დამსაქმებლებს. რადგან პროგრამა ახალია, აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ონლაინ პლატფორმის გამოყენებით მოხდა უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსები და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. აკრედიტაციის ჯგუფის წევრები, დაწესებულებაში არსებული სხვა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, გაეცნენ სადოქტორო ნაშრომებსა და აბსტრაქტებს. ვიზიტის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს წარმომადგენლებს გააცნეს პროგრამის შესახებ ძირითადი მიგნებები და მოსაზრებები.
შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. აუცილებელია, პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები იმგვარად დაიგეგმოს და განისაზღვროს, რომ ყველა სტუდენტს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა საგანამანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მინიმალურ დონეზე მაინც მიიღოს სათანადო ცოდნა და გამოუმუშავდეს კონკრეტული უნარ-ჩვევები.
2. აუცილებელია გადაიხედოს ლოგიკა და მიდგომა, თუ რა დოზითა და მოცულობით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგი კონკრეტული სასწავლო კურსების მეშვეობით.
3. პროგრამის სასწავლო გეგმისა და სილაბუსების ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია (პროგრამის სწავლის ერთ-ერთი შედეგი) სასწავლო გეგმაში სათანადო ხვედრითი წილით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, სადოქტორო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგზე გასასვლელად აუცილებელია ამ საკითხების უფრო კონცენტრირებულად და სიღრმისეულად გავლა ცალკე სასწავლო კურსის პირობებში.
4. სადოქტორო დებულებაში განმარტებულია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის წინაპირობას, თუმცა ეს დებულება არ განმარტავს, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ სტუდენტი ასრულებს კვლევით პროექტს და ასევე, არ განმარტავს ისეთ სცენარს, როდესაც სტუდენტი არ ასრულებს კვლევით პროექტს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადოქტორო დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. შესაბამისად, აუცილებელია უკეთ განიმარტოს სამეცნიერო-კვლევით პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და აუცილებელია ამ პროცესების დეტალურად აღწერა და ფორმალიზება;
5. ა) განათლების ფილოსოფია და პოლიტიკა და ბ) განათლების პოლიტიკა, ეთიკა და სამართალი - ამ ორ სასწავლო კურსს შორის დიდია გადაფარვა განათლების პოლიტიკის საკითხების თვალსაზრისით; განათლების პოლიტიკის მსგავსად, აუცილებელია განათლების სოციოლოგიის საკითხების შესწავლა და კვლევა თანმიმდევრულად, რომ სტუდენტმა უკეთ დაინახოს განსახილვევ საკითხებს შორის კავშირი. შესაბამისად, აუცილებელია ამ შესასწავლი საკითხების შესაბამის სასწავლო კურსებში თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგება.
6. განათლების პოლიტიკა, ეთიკისა და სამართლის სასწავლო კურსი მოიცავს განათლების პოლიტიკისა და სამართლის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას და რთულია 5 კრედიტის ფარგლებში ამ ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია განათლების პოლიტიკისა და განათლების სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.
7. აუცილებელია სწავლების მეთოდების სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობის გადახედვა. სასწავლო კურსში მოცემული მასალის შესწავლა შესაძლებელია 5 ECTS კრედიტისათვის გათვალისწინებული დროის ფარგლებში. სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, მაგრამ იგი არ გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლას, არამედ სტუდენტის მიერ პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულებას და საჩვენებელი ლექციის ჩატარებას. შესაბამისად, არ არის აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტისათვის დამატებით 5 კრედიტის და მთელი სასწავლო კურსისათვის 10 ECTS კრედიტის გამოყოფა.

8. მნიშვნელოვანია თუ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ჩაერთვებიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები.

პროგრამის პირველ მიზანთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება განათლების შედარებითი სოციოლოგიის უახლოეს მიდგომებსა და სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად ასპექტებზე. პროგრამის სასწავლო გეგმისა და სილაბუსების ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია სასწავლო გეგმაში სათანადო ხვედრითი წილით არ არის წარმოდგენილი. მართალია, განათლების სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის საკითხები სხვადასხვა სილაბუსში არის ასახული, მაგალითად განათლების ფილოსოფია და პოლიტიკის სასწავლო კურსის მე-5 კვირის განსახილველი თემა ,,კავშირი სოციოლოგიასთან და განათლებასთან'', მე-6 კვირის თემა ,,კავშირი სასწავლო პროცესის ფსიქოლოგიასთან'', მე-11 თემა ,,კაპიტალი, სოციალური სამართლიანობა და ცვლილებები'', განათლების ეთიკა, პოლიტიკა და სამართლის სასწავლო კურსის მე-9 თემა ,,თანაბარი დაცულობა, ენა და დესეგრეგაცია'', მე-11 თემა ,,სეგრეგაციის ახალი ტალღა, რასობრივი უთანასწორობის ახალი განზომილებანი'', მაგრამ სადოქტორო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგზე გასასვლელად აუცილებელია ამ საკითხების უფრო კონცენტრირებულად და სიღრმისეულად გავლა ცალკე სასწავლო კურსის პირობებში. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, ცალკეული სასწავლო კურსი რა დოზით უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას.
პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების მართვის სპეციფიკის შესწავლა ხდება არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით; არჩევითი სასწავლო კურსებით კი შეუძლებელია მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე, სტანდარტის 1.2 კომპონენტის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ განათლების სოციოლოგიისა და განათლების სოციალური ფსიქოლოგიის სწავლის შედეგის მიღწევა შეუძლებელია მოცემულ სასწავლო კურსებში ამ საკითხების შესასწავლად გამოყოფილი დროისა და მოცულობის პირობებში.
აღსანიშნავია ასევე, რომ განათლების პოლიტიკა, ეთიკისა და სამართლის სასწავლო კურსი მოიცავს განათლების პოლიტიკისა და სამართლის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას და რთულია 5 კრედიტის ფარგლებში ამ ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია განათლების პოლიტიკისა და განათლების სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ასევე აუცილებელია სწავლების მეთოდების სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობის გადახედვა. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ მართებული და ლოგიკური ხედვა, რომ დოქტორანტმა აუცილებლად უნდა მიიღოს სათანადო ცოდნა სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ, რადგან სადოქტორო პროგრამა მათ ამზადებს არამარტო კვლევითი, არამედ პედაგოგიური საქმიანობისათვის. თუმცა, სილაბუსში მოცემული შესასწავლი მასალის მოცულობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მასალის შესწავლა შესაძლებელია 5 ECTS კრედიტისათვის გათვალისწინებული დროის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას, რამდენადაც ექსპერტთა მიერ პროგრამის სტრუქტურა არასწორად არის აღქმული კურსების არჩევითობისა და სავალდებულოობის ნაწილში. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები ყველა სტუდენტს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, საგანმანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მინიმალურ დონეზე მიღოს სათანადო ცოდნა განათლების მეცნიერებების შესახებ, ხოლო კონკრეტული მიმართულებით

ჩაღრმავების აუცილებლობა გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არა კლასიკური არჩევითი, არამედ სავალდებულო არჩევითი კომპონენტით განსაზღვრულ მიმართულებებში. პროგრამით გათვალისწინებული შესაძლებლობა წარმოადგენს ერთ-ერთ უპირატესობას, რომელიც მას განათლების ბაზარზე არსებული პროგრამებისგან გამოარჩევს, ხოლო მოცემული პრაქტიკა ეფუძნება EEU-ს პარტნიორი უნივერსიტეტის გამოცდილებას და წარმოადგენს ერთ-ერთ თანამედროვე პრაქტიკას. მოცემული მოდელით, ერთი მხრივ სადოქტორო პროგრამის თითოეული სტუდენტი იღებს საჭირო ცოდნასა და გამოიმუშავებს შესაბამის უნარებს, სკოლამდელი, სასკოლო ან უმაღლესი განათლების მართვის ძირითადი პრინციპებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მას აქვს შესაძლებლობა, კონკრეტული მიმართულების ფარგლებში კიდევ უფრო მეტად გააფართოვოს ცოდნა კონკრეტული მიმართულებით, რომელიც ასევე დოქტორანტის მიერ კვლევის განსაზღვრისა და დაგეგმვის ეფექტიანობის პერსპექტივიდანაც მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება იქნეს განხილული. ამდენად, მოცემული კონფიგურაციით სასწავლო კურსების შეთავაზება სრულად შესაბამისობაშია აკრედიტაციის 1.2 სტანდარტთან.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული ასევე ვერ იქნება გათვალისწინებული დაწესებულების მიერ, ვინაიდან სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები განათლებაში“, გადის საგანმანათლებლო პროგრამის რვავე სწავლის შედეგზე, რაც მოიცავს როგორც ცოდნა-გაცნობიერებას, ასევე უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. კურიკულუმის რუკის თანახმად, მოცემული სასწავლო კურსი არის საგანმანათლებლო პროგრამის შესავალი, გაცნობითი ხასიათის კურსი პროგრამის ყველა სასწავლო შედეგთან მიმართებით. შემდგომში სხვა სასწავლო კურსების მეშვეობით ხდება ამ შედეგების გაღრმავება, ხოლო ბოლოს მათი განმტკიცება.

დაწესებულება ასევე არ იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-3 რეკომენდაციას, ვინაიდან სადოქტორო საფეხურზე აღნიშნული კურსების ცალ-ცალკე სასწავლო კურსების სახით შეთავაზება მიუღებელია და არ შეესაბამება სადოქტორო სწავლების დანიშნულებას. სადოქტორო პროგრამაში განათლების მიმართულება წარმოდგენილია ინტედისციპლინურ კონტექსტში სწავლების გზით და სრულად არის დაფარული.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაცია განსაზღვრულია 2.2 სტანდარტის მიზნებისთვის, თუმცა ვერ დგინდება რა კავშირი აქვს ამ რეკომენდაციის შინაარსს მოცემული სტანდარტის შეფასების კრიტერიუმებთან, მეორე მხრივ აღნიშნული რეკომენდაცია საკმაოდ ბუნდოვანია და რთული დასადგენია აღნიშნული რეკომენდაციით რისი თქმა სურთ ექსპერტებს. უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და სადისერტაციო ნაშრომის სახით, შესაბამისად, სტუდენტთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში გამოიყენება ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზნით სადისერტაციო ნაშრომი.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, მოცემული სასწავლო კურსების შინაარსი, მიზნები, სწავლა-სწავლების მეთოდები, გამოყენებული ლიტერატურა და სწავლის შედეგები იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, ცხადია, რომ წარმოდგენილია ორი სრულიად დამოუკიდებელი სასწავლო კურსი, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა დანიშნულება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა სრულიად აკმაყოფილებს როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს. განსაზღვრული ლიტერატურა კი შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. დაწესებულება ნამდვილად აფასებს ექსპერტთა შეფასებას, თუმცა მიიჩნევს რომ არ უნდა მოხდეს უკვე განსაზღვრული პროგრამის ნაწილების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, ესაუბრა სასწავლო კურსების გადაფარვასთან დაკავშირებით.
სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსებში ,,ფილოსოფია და პოლიტიკა“ და ,,განათლების პოლიტიკა, ეთიკა და სამართალი“ სრულად არის გაწერილი როგორც სოციოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური საკითხები, თუმცა არ ხდება სასწავლო კურსებს შორის საკითხების გადაფარვა. სასწავლო კურსების სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.
დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თუმცა მსჯელობა იმასთან მიმართებით, რომ სასწავლო კურსების ჩატევა 5 კრედიტის ფარგლებში რთულია, არ არის სათანადოდ დასაბუთებული. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს შიდა კვლევებს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში მოხდება შესაბამისი რეაგირება. ამასთან უნივერსიტეტი თავად განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსებისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლოა განხილული იქნას როგორც რჩევა.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებული ,,სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსი მოიცავს არა მარტო სწავლების მეთოდების ნაწილს, არამედ მასში ინტეგრირებულია პროფესორის ასისტენტობის კომპონენტიც. შესაბამისად, კურსის ფარგლებში, დოქტორანტს უწევს არამარტო სწავლების ტრადიციული და თანამდროვე მეთოდების სასწავლო პროცესში გამოყენების შესწავლა, არამედ რეალურ სამუშაო გარემოში მათი ადაპტაციის, სასწავლო პროცესთან უშუალო კავშირის, დამოუკიდებელი პედაგოგიური მოღვაწეობის განხორციელება. სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია 10 კრედიტი, რომელიც კვირაში 5 საათიან საკონტაქტო დატვირთვაზეა გადანაწილებული, რაც სავსებით ლოგიკურია და უზრუნველყოფს კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ხარისხიანად შესრულებას.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შემუშავებული იქნა დიდი ბრიტანეთის მიდლსექსის (Middlesex) უნივერსიტეტის დარგის ექსპერტებისა და პროფესორების ჩართულობით, რასაც თავად ექსპერტებიც ადასტურებენ. პროგრამის შემუშავების ამ ეტაპზე არ იქნა რელევანტურად მიჩნეული დამატებითი გარე შეფასების მექანიზმის გამოყენება. გარდა ამისა, ინტერვიუებზე ექსპერტებს დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ პროგრამის განხორციელებიდან ერთი წლის თავზე უნივერსიტეტი დაიწყებს მის შეფასებას, როგორც შიდა ხარისხის მექანიზმების ინსტრუმენტების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ გარე შეფასების მექანიზმის გამოყენებით, რისი წარმატებული პრაქტიკა უნივერსიტეტში უკვე ყველა მოქმედი პროგრამის მიმართ არის დანერგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობის მიხედვით პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერი მიმართულების მაგისტრის ხარისხის მქონე პირს. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, იქნება თუ არა პროგრამა დაძლევადი მაგალითად ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრისთვის და არის თუ არა აღნიშნული დათქმა რელევანტური. გარდა ამისა საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა შიდა საუნივერსიტეტო პროცედურები არსებობს საკითხთან დაკავშირებით?
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დააზუსტა ექსპერტებთან თუ როგორ შეაფასებდნენ ისინი პროგრამის სასწავლო კომპონენტს, როდესაც სავალდებულო 5 საგნიდან 4-ს კითხულობს პროფესორი პოლ გიბსი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ის არის მიდლექსის უნივერსიტეტის პროფესორი, ასევე არის პროგრამის ხელმძღვანელი, კვლევის ხელმძღვანელი და შემფასებელი

კვლევით სამეცნიერო კომისიაში. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად დაძლევადია დროის თვალსაზრისით, პროგრამის მთლიანი სავალდებულო ნაწილის აღება?
გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შეფასების კომპონენტი, კერძოდ კი კვლევით პროექტები, რომელიც ხუთივე სავალდებულო და სამ არჩევით კურსში არის განსაზღვრული, თუმცა ყველა კურსში მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, ფორმულირება მოცემული რუბრიკისა, არის ერთიდაიგივე. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება 8 კურსს მოცემული რუბრიკა?
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ,,კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსი და განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მიღების წინაპირობები არ განსაზღვრავს დარგს, რამდენად დაძლევადია სტუდენტისთვის მოცემული სილაბუსი. კურსის პირველ შედეგში აღნიშნულია, რომ სტუდენტი შეიმუშავებს მეთოდებს, რაც საკამოდ დიდი გამოწვევაა და საეჭვოა, რომ ყველა სტუდენტი გავიდეს ამ შედეგზე, მაშინ როცა დანარჩენი შედეგები არ შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ თითოეულ თემაში იმდენად ბევრი და მოცულობითი თემატიკა არის განსაზღვრული, რომ ძალიან რთულია 2 საათში ადამიანმა, რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს სოციალურ კვლევის მეთოდებში ან განათლების კვლევის მეთოდებში გარკვეული ცოდნა, ეს დაძლიოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესორი პოლ გიბსი საკმაოდ სიღრმისეულად და შინაარსობრივად არის ჩართული პროგრამაში, ასევე არსებობს მიდლექსის უნივერსიტეტთან მემორანდუმი, რომელშიც საჭიროებისამებრ აღნიშნულია, რომ კიდევ დამატებით სამი აკადემიური პერსონალი შეიძლება ჩაერთოს. მოცემული პროგრამისთვის ღირებულია ასევე ლექტორების დაწყვილება და რიგ შემთხვევაში ერთსა და იმავე სასწავლო კურსებს კითხულობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პროფესორები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ასევე აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ ფაკულტეტის ბიუჯეტი.
ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც ადასტურებს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთ არი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესორ პოლ გიბსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბატონი გიბსი სრული განაკვეთით მუშაობს დაწესებულებაში და წარმოადგენს სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს. გარდა ამისა, 22 ნოემბრიდან ის საქართველოში იცხოვრებს და ადგილიდან განახორციელებს თავის საქმიანობას.
რაც შეეხება ჩარიცხვის წინაპირობას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად, გადის გასაუბრებას უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის წინაშე. კომისიის წევრებს დოქტორანტობის კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს მდივანი ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კომისია დადგენილი კრიტერიუმებით აფასებს დოქტორანტობის კანდიდატს. ამასთან, დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები არის წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა

და გასაუბრების საფუძველზე, ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
აღსანიშნავია ასევე რუბრიკების საკითხი, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ მოიცავს ტესტებს, ღია კითხვებს და მსგავს შეფასების მეთოდებს. რუბრიკები ძირითადად მოიცავს კვლევით პროექტებსა და კვლევით სტატიებს. სწორედ ამ აქტივობით მოწმდება ის სწავლის შედეგები, რომლებიც კონკრეტული სილაბუსით არის გათვალისწინებული.
რაც შეეხება ,,კვლევითი მეთოდების სასწავლო კურსს, თითოეული ლექცია მოიცავს სამ საათს, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ განხილული იყოს როგორც თეორიული ნაწილი, ასევე მისი იმპლიმენტირება პრაქტიკაში, სწორედ ამიტომ აღნიშნული მოიცავს არა 5, არამედ 10 კრედიტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:37
დასრულების დრო: 20:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,განათლების მეცნიერებების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომედაციები და რჩევები და შემდეგი ფორმულირებით ჩამოაყალიბა:

რეკომენდაციები:

1. კურსი "კვლევის მეთოდები განათლებაში" სწავლის შედეგები და სასწავლო მასალა მოვიდეს შესაბამისობაში სადოქტორო საფეხურთან, კურსის შინაარსი და შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს დოქტორანტების პრაქტიკული კვლევის უნარების განვითარეაზე.
2. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სპეციფიკასთან.

რჩევები:

1. სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მაგალითად, პოტენციური დამსაქმებლები უფრო ინტერსიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შეფასების პროცესში.
2. პრეზენტაციის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 28%, თუმცა პრეზენტაცია შედგება 5 კომპონენტისაგან და თითოეულის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 7%, რაც ჯამში 28%-ის ნაცვლად შეადგენს 35%-ს; შესაძლოა, ეს არის ტექნიკური უზუსტობა და სასურველია დანართ 14.4-ში (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა) გადამოწმდეს და დაზუსტდეს სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული.
3. პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით სასურველია შრომის ბაზრის აღწერითი ნაწილი გაძლიერდეს ემპირიული კვლევის საფუძველზე.
4. სადოქტორო დებულებაში განმარტებულია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის წინაპირობას, თუმცა

ეს დებულება არ განმარტავს, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ სტუდენტი ასრულებს კვლევით პროექტს და ასევე, არ განმარტავს ისეთ სცენარს, როდესაც სტუდენტი არ ასრულებს კვლევით პროექტს.

5. მნიშვნელოვანია თუ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ჩაერთვებიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები.
6. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობა, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლის.
7. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაემატოს განათლების სფეროში მუშაობის წინარე გამოცდილება; განათლების სფეროში მიღებული წინარე გამოცდილება დაეხმარებოდა კანდიდატს უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესი სადოქტორო პროგრამაზე სწავლისა და კვლევისას.
8. უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ფორმალიზება, მაგ. უცხოელ სპეციალისტებთან შესაბამისი კონტრაქტების გაფორმება, რომ ნათლად გამოჩნდეს მათი პროგრამაში ჩართულობის გრძელვადიანი პერსპექტივა.
9. აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემაში არსებული ინდიკატორები, ანუ დასახული მიზნების მისაღწევი ნიშნულები, სასურველია იყოს გაზომვადი.
10. სასურველია ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის ფორმალური დოკუმენტის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები.
11. სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს, რომ დოქტორანტებს წვდომა ქონდეთ ისეთ პროგრამებზე, როგორიცაა, მაგ. SPSS, NVivo, ATLASti, თუ სხვა. იგივე ეხება ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატიზების დამხმარე საშუალებებს - EndNote, Mendeley, Zotero (ღია წყარო).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4.მეოთხე საკითხი : შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 23 აგვისტოს შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, რეკომენდაციების შესრულების მიზნით უსდ-ამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა დაწესებულების აკადემიური პერსონალით, სტუდენტებით, კურსდამთავრებულებით და დამსაქმებლებით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ცვლილებები განიხილა სკოლის საბჭომ, დასკვნა მოამზადა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და დასამტკიცებლად გადაეცა აკადემიურ საბჭოს. 2021 წლის 23 ივლისს საბჭოს №4 გადაწყვეტილებით კი დამტკიცდა პროგრამაში შესატანი ცვლილებები. უნივერსიტეტმა გაიზიარა ყველა რეკომენდაცია და განახორციელა რიგი ცვლილებები. აღსანიშნავია, ასევე რომ უნივერსიტეტმა 2020 წელს მემორანდუმი გააფორმა 4 ახალ სტომატოლოგიურ კლინიკასთან. შეთანხმების (მემორანდუმის) თანახმად, კლინიკების წარმომადგენლები ჩაერთვებიან პროგრამის გაუმჯობესების პროცესში.
ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულების მიერ არ იქნა შესრულებულინ შეეხებოდა სახელმძღვანელოებს და მათ განახლებას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ახალ სილაბუსში არ იყო განახლებული სახელმძღვანელოები მითითებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში;

1. თერაპიული სტომატოლოგიის სილაბუსებში შესწორდეს სახელმძღვანელოები ;
2. პაროდონტოლოგიის სილაბუსში დაზუსტდეს დიაგნოსტირების სწავლების და დოკუმენტაციის წარმოების საკითხები;
3. პაროდონტოლოგიის სილაბუსში შევიდეს ახალი კლასიფიკაციის სწავლების ნაწილი.

20:40 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ნინო იმნაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა "თერაპიული სტომატოლოგიის" სილაბუსებში სახელმძღვანელოების შესწორებას. ,,თერაპიულ სტომატოლოგია 2"-ში მითითებული იყო ორი სახელმძღვანელო 2012 და 2017 წლის, დანარჩენ ყველა სილაბუსში სახელმძღვანელოებთან დაკავშრებით ყველაფერი არის გასწორებული და განახლებული. დაწესებულებამ ასევე აქტიურად გაიზიარა ექსპერტთა რჩევები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ რჩევის სახით განმარტა, რომ მნიშნელოვანია OSCE-ს შემოღება და პროგრამის ფარგლებში დანერგვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რიგ სილაბუსებში საბოლოო გამოცდის სახით განსაზღვრულია OSCE, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ პროგრამაში მოხდა პრაქტიკული ელემენტის გაძლიერება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:00
დასრულების დრო: 21:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომედაციები და რჩევები და შემდეგი ფორმულირებით ჩამოაყალიბა:

რეკომენდაციები:

1. თერაპიული სტომატოლოგიის სილაბუსებში შესწორდეს სახელმძღვანელოები
2. დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში

რჩევები:

1. თვალსაჩინოდ განიმარტოს ძირითადი მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობა.
2. სასურველია, სასწავლო კურსში "თერაპიული სტომატოლოგია 2" გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - სავალდებულო ლიტერატურასთნ დაკავშირებით.
3. პაროდონტოლოგიის სილაბუსში დაზუსტდეს დიაგნოსტირების სწავლების და დოკუმენტაციის წარმოების საკითხები
4. პაროდონტოლოგიის სილაბუსში შევიდეს ახალი კლასიფიკაციის სწავლების ნაწილი
5. გადაიხედოს და დაკორექტირდეს სწავლების მეთოდები
6. სასურველია, კლინიკური უნარ-ჩვევების შესაფასებლად, შემოღებული იქნეს OSCE.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:06 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა